საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-689

18/05/2021

ქ. თბილისი

შპს „არენა მშენის“ ასფალტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2021 წლის 30 მარტს სამინისტროს მომართა შპს „არენა მშენის“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2008 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „გზამშენი 4“-ის ასფალტის წარმოებაზე გაიცა №29 (10.07.2008) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოსდაცვითი ნებართვა. 2015 წლის 30 ივლისს კომპანიის სახელწოდების ცვლილების შედეგად, აღნიშნული სანებართვო მოწმობა გაიცა შპს „არენა მშენზე“.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის საფუძველზე, დამტკიცდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 23 აპრილის N2-530 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების სათაურსა და ბრძანების პირველ პუნქტში საქმიანობის დასახელებად მითითებულია „სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი ნივთიერებების (ANFO-ს და HEAVY ANFO) წარმოების ქარხნის ფუნქციონირება“, ნაცვლად ასფალტის წარმოებისა. შესაბამისად, ძალადაკარგულად ცხადდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 23 აპრილის N2-530 ბრძანება.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „არენა მშენის“ ასფალტის წარმოებაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №29; 10.07.2008);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

   ა) „შპს „არენა მშენის“ სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი ნივთიერებების (ANFO-ს და HEAVY ANFO) წარმოების ქარხნის ფუნქციონირებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 23 აპრილის N2-530 ბრძანება;

   ბ) „შ.პ.ს. ,,არენა მშენი“-ზე სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 30 ივლისის N576 ბრძანება;
4. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „არენა მშენის“;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „არენა მშენის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი